



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 76
14/06/2018

76-06-4-201806141759



ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ლელა საჯაიას, ლალი სიჭინავას, მარიკა ჩხიკვიშვილის, ხათუნა ცერცვაძის, როზეტა სკამკოჩაიშვილის, მაია ზოიძის, ქეთევან ვასაძეს, და ნანული ორაგველიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ლელა საჯაია, ლალი სიჭინავა, მარიკა ჩხიკვიშვილი, ხათუნა ცერცვაძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, მაია ზოიძე, ქეთევან ვასაძე, და ნანული ორაგველიძე მივლინებული იქნან წყალტუბოში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, „გენდერული ზეგავლენის ანალიზის“ შესახებ, ა/წ 15 და 16 ივნისს (ორი დღით).
2. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო